ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა

შერჩევითი სამართალი

2021

ადამიანის უფლებათა ცენტრი

ავტორი: ლაზარე ჯიბლაძე
რედაქტორი: ალეკო ცქიტიშვილი

ანალიტიკური დოკუმენტი მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

ზოგადი მიმოხილვა 4

არსებული მდგომარეობა 5

ქართული მედიაგარემო საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში 5

სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი 7

ქართული კანონმდებლობა 9

საერთაშორისო სტანდარტები 11

სამართლებრივი შეფასება 12

დასკვნა 17

რეკომენდაციები 18

ზოგადი მიმოხილვა

ინფორმაციისა და გამოხატვის თავისუფლებას დაფუძნებული, თავისუფალი, დამოუკიდებელი და პლურალისტური მედია ფუნქციონალური დემოკრატიის ძირითადი ელემენტია. მედიის თავისუფლებას გადამწყვეტი როლი აქვს ადამიანის ყველა სხვა უფლების დაცვისა და რეალიზებისთვის[1]. წამების, არაადამიანური მოპყრობის, დისკრიმინაციის, კორუფციის და სხვა მძიმე დანაშაულთა არაერთი საქმე სწორედ მედიის, განსაკუთრებით - საგამოძიებო ჟურნალისტიკის მიერ მჟღავნდება. ძალიან ხშირად ფაქტების გამჟღავნება საზოგადოებისთვის არის შეუცვლელი ნაბიჯი ადამიანის უფლებათა დარღვევაზე რეაგირებისა და ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაზრდისათვის.

თავისუფალი და უსაფრთხო მედიაგარემოს შექმნა წარმოუდგენელია ხელისუფლების მხრიდან კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დაუცველად. თავის მხრივ, ამ პრინციპის დაცვა გამორიცხავს მედიასაშუალებების მიმართ შერჩევითი მიდგომით მოქმედებას და კრიტიკულად განწყობილი მედიასაშუალებებისა თუ ჟურნალისტების არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებას.

სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებით, საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში ნარჩუნდება პლურალისტური მედიაგარემო, მაგრამ იგი კვლავ მკვეთრად პოლარიზებულია. მედიის პოლარიზაცია ერთმნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ პოლარიზაციასთან, რომელიც, თავის მხრივ, ტრადიციული ლიბერალური დემოკრატიის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი გამოწვევაცაა.

პოლიტიკური პოლარიზაცია გამოწვევაა ქართული მედიალანდშაფტისთვისაც, რაც ყველაზე მწვავედ ისეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესების გააქტიურებასთან ერთად იჩენს თავს, როგორიცაა არჩევნები. არსებობს მოსაზრება, რომ პოლარიზებული მედიაგარემო შესაძლოა, თავისთავად იყოს საფრთხე დემოკრატიული ღირებულებებისთვის[2]. თუმცა, სხვა მოსაზრებით, პლურალისტური მედიაგარემოს არსებობა და განსხვავებულ მედიასაშუალებებზე წვდომის შესაძლებლობა პოლარიზებული მედიისგან მომდინარე საფრთხეებს მინიმუმამდე ამცირებს[3]. ამის მიუხედავად, ნებისმიერ შემთხვევაში, მედიის თავისუფლება და ჟურნალისტური საქმიანობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა დემოკრატიული ღირებულებების მქონე ყველა ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

საქართველოში, ბოლო წლებში, სულ უფრო მზარდია რეპრესიებისა და მედიის თავისუფლების დარღვევის ფაქტები, რამაც უკვე მიიღო შემაშფოთებელი ხასიათი. მედიის კონტროლის სხვადასხვა სახის მცდელობები, ზეწოლის სხვადასხვა ფორმების

---

[1] იხ. Freedom of expression, media freedom and safety of journalists: https://www.coe.int/en/web/commissioner/thematic-work/media-freedom

[2] იხ. How does social media impact democracy? https://charleskochfoundation.org/stories/how-does-social-media-impact-democracy/

[3] იხ. Centre for Media Pluralism and Media Freedom: https://cmpf.eui.eu/mpm2021-executive-summary/

გამოყენება და ჟურნალისტთა პროფესიული საქმიანობის ხელშეშლის, მათზე ფიზიკური თუ სიტყვიერი თავდასხმის ფაქტების სულ უფრო მზარდი ტენდენცია მნიშვნელოვნად აზარალებს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტს და იძლევა მწვავე სიგნალს ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების შესუსტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტის შესუსტების მიმართულებით.

არსებული მდგომარეობა

ჯერ კიდევ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამა მედიის თავისუფლების უზრუნველყოფას განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა[4]. ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ კი, პარტიამ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ აიღო ვალდებულება, დაეცვა მედიის თავისუფლება, ჟურნალისტთა უსაფრთხოება და ბოლო მოეღო მედიის მიმართ ჩადენილი დანაშაულების დაუსჯელობისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, რამდენიმე წლის განმავლობაში მედიაზე პოლიტიკური ზეწოლისა და ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლის ფაქტები შემცირდა, ბოლო წლებში, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. დღეს საქართველოში ჟურნალისტური საქმიანობა არ არის უსაფრთხო. საკუთარი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას, ჟურნალისტები სულ უფრო ხშირად ხდებიან დევნის ობიექტები, რაც მნიშვნელოვანწილად ხელისუფლებაში მყოფი მაღალი თანამდებობის პირების, სასულიერო იერარქებისა და სხვადასხვა ულტრაკონსერვატორი და ულტრამემარჯვენე ჯგუფების წახალისებით ხდება.

ჟურნალისტური საქმიანობის დაცვის კუთხით ქვეყანაში არსებული გამართული საკანონმდებლო ჩარჩოს მიუხედავად, სხვადასხვა უწყებათა მხრიდან მისი რეალური აღსრულების პრობლემიდან გამომდინარე და პოლიტიკური მიკერძოებულობის გათვალისწინებით, ჟურნალისტური საქმიანობა სულ უფრო დაუცველი ხდება. ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციურად განწყობილი მედიისა და აქ მომუშავე ჟურნალისტთა შეურაცხყოფა და მათი დისკრედიტაციის მცდელობები, ასევე - პოლიტიკური ნების არარსებობა, აღიკვეთოს ჟურნალისტთა მიმართ სხვადასხვა ძალადობის ფაქტები, შესაძლოა, გახდეს მოქალაქეთათვის ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და საჯარო დებატებში მონაწილეობის შესაძლებლობის დაკარგვის მიზეზი. ეს კი, ცხადია, მნიშვნელოვნად შეაფერხებს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.

ქართული მედიაგარემო საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში

სხვადასხვა ქვეყანაში, განსაკუთრებით - გარდამავალ ეტაპზე მყოფ სახელმწიფოებში, მედიის თავისუფლების მდგომარეობას სხვადასხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია ყოველწლიურად აფასებს. ასეთ ორგანიზაციებს შორისაა:

[4] იხ. http://www.ivote.ge/images/doc/pdfs/ocnebis%20saarchevno%20programa.pdf

IREX, Freedom House, „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ და სხვა. ამ ორგანიზაციების ყოველწლიური ანგარიშები აჩვენებს, რომ საქართველოში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, მედიის თავისუფლების მოკლევადიან გაუმჯობესებას, ბოლო წლებში, კვლავ მოჰყვა გაუარესება.

ასე, მაგალითად, IREX-ის ანგარიშების მიხედვით, საქართველოს მედიის მდგრადობის ინდექსი 2014 წლიდან მცირედით უარესდება. თუმცა, ქვეყანა კვლავ მდგრადობასთან მიახლოებული ქვეყნების კატეგორიაში რჩება[5].

Freedom House-ის 2014 წლის ანგარიშის მიხედვით კი, მედიის დამოუკიდებლობის კუთხით, საქართველოში არსებული მდგომარეობა 0,25 ერთეულით გაუმჯობესდა და 4,0-ს გაუტოლდა, იგივე მაჩვენებელი კი 2015 და 2016 წლებში არ შეცვლილა. თუმცა, მომდევნო წლებში, გაუმჯობესების ნაცვლად, აშკარა რეგრესი განიცადა[6].

ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ 2016 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოში, წინა წელთან შედარებით, მედიის თავისუფლების ინდექსი 0.26 ერთეულით გაუარესდა. თუმცა, პოზიციურად 5 ადგილით დაწინაურდა და 69-ედან 64-ე ადგილზე გადაინაცვლა. ეს კი, სხვა ქვეყნების მიერ მედიის თავისუფლების ინდექსის გაუარესების ხარჯზე მოხდა[7].

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოში მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებული პრობლემებიდან, განსაკუთრებით ყურადღება გამახვილებულია პოლიტიკური ზეწოლის ნიშნებზე. ზემოხსენებულ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშში[8] ასეთ მაგალითებად დასახელებულია ტელეკომპანია „იმედზე“ და საზოგადოებრივ მაუწყებელზე თოქ-შოუების დახურვის ფაქტები; ასევე, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ირგვლივ განვითარებული მოვლენები.

2021 წელს საერთაშორისო ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ გამოაქვეყნა ყოველწლიური კვლევა, რომლის თანახმად, პრესის თავისუფლება საქართველოში მცირედით გაუარესდა. თუმცა, ქვეყნის პოზიცია პრესის თავისუფლების ინდექსში უცვლელი დარჩა. კვლევის თანახმად, 180 ქვეყანას შორის საქართველოს, 28.64 ქულით, მე-60 ადგილი უკავია და შედეგად ქვეყნის მედიაგარემო „პლურალისტურია, მაგრამ ჯერჯერობით დამოუკიდებელი არ არის“. გასულ წელს საქართველოს 28.59 ქულა, ხოლო 2019 წელს 28.98 ქულა ჰქონდა[9].

---

[5] იხ. EUROPE & EURASIA MEDIA SUSTAINABILITY INDEX 2014. https://www.irex.org/sites/default/files/pdf/media-sustainability-index-europe-eurasia-2014-georgia.pdf

[6] იხ. https://freedomhouse.org/sites/default/files/NiT2016_Georgia.pdf

[7] იხ. https://rsf.org/en/ranking/2016#

[8] იხ. https://rsf.org/en/georgia; https://freedomhouse.org/sites/default/files/NiT2016_Georgia.pdf; https://freedomhouse.org/sites/default/files/NiT2016_Georgia.pdf.

[9] იხ: https://rsf.org/en/georgia.

სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი

2021 წლის 23 სექტემბერს, ადამიანის უფლებათა ცენტრმა სხვადასხვა საჯარო დაწესებულებიდან[10] გამოითხოვა სტატისტიკური ინფორმაცია ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლისა და ჟურნალისტების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე, რეალური მდგომარეობისაგან განსხვავებით, ძალიან მცირეა.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე	
(პირთა რაოდენობა)	
2012 წელი	4
2013 წელი	4
2014 წელი	0
2015 წელი	1
2016 წელი	1
2017 წელი	0
2018 წელი	2
2019 წელი	4
202 0წელი	2
2021 წლის 1 იანვრიდან ამავე წლის 1 სექტემბრამდე	31

წყარო: საქართველოს გენერალური პროკურატურა[11].

საქართველოს გენერალური პროკურატურის პასუხის თანახმად[12], 2019 წლის 20-21 ივნისს, თბილისში, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და აღდგენაში მონაწილე ცალკეულ სამართალდამცველთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით და იარაღით გადამეტების ფაქტზე საქართველოს გენერალური პროკურატურის ნაწილში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, 2021 წლის 10 სექტემბრის

[10] საქართველოს უზენაესი სასამართლო; საქართველოს გენერალური პროკურატურა; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

[11] საქართველოს გენერალური პროკურატურის პასუხი #13/57936 ადამიანის უფლებათა ცენტრის 2021 წლის 23 სექტემბრის წერილზე.

[12] საქართველოს გენერალური პროკურატურის პასუხი #13/56032 ადამიანის უფლებათა ცენტრის 2021 წლის 15 სექტემბრის წერილზე.

მდგომარეობით, დაზარალებულად ცნობილია 8 ჟურნალისტი.

სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 3 თანამშრომლის მიმართ, ძალადობით, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, რომელთა ბრალდების სისხლის სამართლის საქმეები არსებითად განსახილველად წარიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები ნათლად მოწმობს, რომ კონკრეტულ ეპიზოდებთან მიმართებით ჩადენილია არაადამიანური ან/და დამამცირებელი მოპყრობა, რომელიც, თავისი არსით, უფრო სერიოზულია, ვიდრე სსკ-ის 333-ე მუხლით გათვალისწინებული სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, დღემდე გამოძიება მხოლოდ 333-ე მუხლით მიმდინარეობს. ეს ტენდენცია, შესაძლოა, ემსახურებოდეს სამართალდამცველთათვის პასუხისმგებლობის შემსუბუქებას საგამოძიებო ორგანოების მხრიდან. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ცენტრის დაცვის ქვეშ მყოფ ჟურნალისტებს აქციის დაშლის დროს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა ხელი შეუშალეს თავიანთი საქმიანობის განხორციელებაში, გამოძიება არ მიმდინარეობს სსკ 154-ე მუხლით (ჟურნალისტებისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა).

აგრეთვე, გენერალური პროკურატურის თანახმად[13], 2021 წლის 5-6 ივლისს ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიების ფარგლებში დაზარალებულად ცნობილია 45 ჟურნალისტი, ოპერატორი. სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს 31 პირის მიმართ, აქედან 26 პირის მიმართ მიმდინარეობს სსკ-ის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით; 1 პირის მიმართ სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით; 3 პირის მიმართ სსკ-ის 160-ე მუხლის მე-2 ნაწილისა „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 1 პირის მიმართ სსკ-ის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად[14], საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის საფუძველზე 2012 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 აგვისტომდე:

1. განაჩენის გამოტანით განხილულია 20 სისხლის სამართლის საქმე 26 პირის მიმართ;

---

[13] საქართველოს გენერალური პროკურატურის პასუხი #13/57936 ადამიანის უფლებათა ცენტრის 2021 წლის 23 სექტემბრის წერილზე.

[14] საქართველოს უზენაესი სასამართლოს პასუხი #პ-654-21 ადამიანის უფლებათა ცენტრის 2021 წლის 2 სექტემბრის განცხადებაზე.

2. გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილია 19 საქმეზე 25 პირის მიმართ;

3. 2021 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით წარმოებაში იყო ერთი სისხლის სამართლის საქმე.

შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრში კომპილირებული ცალკეული სტატისტიკური მონაცემები										
გამოძიების დაწყება წლების მიხედვით										
სსკ მუხლები	**2012**	**2013**	**2014**	**2015**	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**	**2021 წელი (იანვარი - ივლისი)**
სსკ 154-ე მუხლი „ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა“	21	3	3	0	6	2	12	13	7	8

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო[15].

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, 2021 წლის 5-6 ივლისს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, 100-ზე მეტი პირია დაკავებული ადმინისტრაციული წესით, რომელთა ნაწილი სასამართლოში ნებაყოფლობით გამოცხადების ხელწერილის საფუძველზე გათავისუფლდა, ხოლო, ნაწილი შესახლდა შსს-ს დროებითი მოთავსების იზოლატორში.

ქართული კანონმდებლობა

ეროვნულ დონეზე ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა კრიმინალიზებულია სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის

[15] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხი #1 21 02545980 ადამიანის უფლებათა ცენტრის 2021 წლის #2317903 წერილზე.

საფუძველზე[16]. ამ მუხლით კრიმინალიზებულია ისეთი ქმედება, რომელიც ჟურნალისტზე ზეგავლენის მეშვეობით, მიზნად ისახავს მის პროფესიულ საქმიანობაში ჩარევას, რის შედეგადაც ხდება კონსტიტუციით აღიარებული ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლების შეზღუდვა.

> **მუხლი 154.** 1. ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ესე იგი მისი იძულება, გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისაგან, – ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოცი დან ას ორმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე.
>
> 2. იგივე ქმედება, ჩადენილი ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია[17]. ასევე, ხაზგასმულია, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება[18].

სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით დასჯადი დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა გულისხმობს ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლას, რაც, თავის მხრივ, ვლინდება, ერთი მხრივ, მის იძულებაში, გაავრცელოს ინფორმაცია, ხოლო, მეორე მხრივ, მისი გავრცელებისგან თავის შეკავებაში.

ჟურნალისტური საქმიანობისათვის ხელის შეშლა შეიძლება გამოიხატოს როგორც თვითონ ჟურნალისტზე, ასევე სხვა პირებზე ზეგავლენაში, რათა ჟურნალისტს მოუსპონ შესაძლებლობა, განახორციელოს თავისი კანონიერი პროფესიული საქმიანობა. აგრეთვე, დანაშაულის ელემენტები/შემადგენლობა გამოიხატება ჟურნალისტის იძულებაში, გაავრცელოს ცრუ ინფორმაცია ან დამალოს ნამდვილი ინფორმაცია.

რაც შეეხება ხელის შეშლას, ეს შეიძლება იყოს ჟურნალისტის მიერ შეგროვებული ინფორმაციის განადგურება, ჟურნალისტური საქმიანობის შეწყვეტის მოთხოვნა, ცენზურის განხორციელება, რედაქციის პროფესიული დამოუკიდებლობისათვის დაბრკოლების შექმნა და სხვა.

ჟურნალისტის იძულება, გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისგან, ნიშნავს მის ნებაზე ამა თუ იმ ხერხით ზეგავლენის მოხდენას. აქვე აღსანიშნია, რომ გამონაკლისია ძალადობა, რამდენადაც იგი ამძიმებს პირის პასუხისმგებლობას, რაც მითითებულია სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის

---

[16] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 154: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

[17] იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17(2): https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

[18] იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17(3): https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

მე-2 ნაწილში.

> *.ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის მუხლის (სსკ.-ის 154-ე მუხლი) მთავარი დამახასიათებელი ნიშანია, რომ:* ***ეს დანაშაული დამთავრებულია ჟურნალისტზე იძულების განხორციელების მომენტიდან, იმისდა მიუხედავად, მიაღწია თუ არა დამნაშავემ მისთვის სასურველ მიზანს.***

აგრეთვე, უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის ჩადენის მიზანია მასობრივი ინფორმაციის საშუალების თავისუფლებისათვის ხელის შეშლა და თავის სასარგებლოდ წარმართვა. მოტივი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, მაგრამ იგი კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს.

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო სტანდარტების მსგავსად, ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლა, მათ შორის - ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დასჯად ქმედებას წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითაც, რომელიც აწესებს დაცვის მაღალ სტანდარტს ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობასთან მიმართებით.

საერთაშორისო სტანდარტები

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის[19], გაერთიანებული ერებისა[20] და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს[21] მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, ჟურნალისტად ითვლება არა მხოლოდ პროფესიონალი ჟურნალისტი და სხვა ტრადიციული მედიააქტორი, არამედ ეს ტერმინი მოიცავს სხვა აქტორებსაც, რომლებსაც წვლილი შეაქვთ საზოგადოებრივ დისკუსიაში, ასრულებენ ჟურნალისტურ საქმიანობას, ან ასრულებენ „საზოგადოებრივი მოდარაჯის“ ფუნქციებს, ახდენენ საზოგადოების ინფორმირებას საზოგადოების ინტერესის მქონე საკითხებზე.

ეუთო/ოდირის „სახელმძღვანელო მითითებები უფლებადამცველთა უფლებების დაცვის შესახებ“ თანახმად, ჟურნალისტები, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანის უფლებებს, არიან ადამიანის უფლებადამცველები, მიუხედავად მათი აკრედიტაციის სტატუსისა და მედიასაშუალებისა, რომლის მეშვეობითაც ისინი მუშაობენ (ბეჭდვითი, რადიო, სატელევიზიო თუ ინტერნეტის)[22].

ჟურნალისტები, რომლებიც ავლენენ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს,

---

[19] იხ. Recommendation CM/Rec(2016)4 of the Committee of Ministers to member States on the protection of journalism and safety of journalists and other media actors: https://www.coe.int/en/web/freedom-expression/committee-of-ministers-adopted-texts/-/asset_publisher/aDXmrol0vvsU/content/recommendation-cm-rec-2016-4-of-the-committee-of-ministers-to-member-states-on-the-protection-of-journalism-and-safety-of-journalists-and-other-media-?_101_INSTANCE_aDXmrol0vvsU_viewMode=view/

[20] იხ. United Nations CCPR/C/GC/34, International Covenant on Civil and Political Rights,Human Rights Committee, 102nd session Geneva, 11-29 July 2011, General comment No. 34. https://www2.ohchr.org/english/bodies/hrc/docs/gc34.pdf

[21] იხ. CASE OF CENTRE FOR DEMOCRACY AND THE RULE OF LAW v. UKRAINE, STRASBOURG 26 March, 2020, FINAL. https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-201896%22]}

[22] იხ, OSCE/ODIHR - Guidelines on the Protection of Human Rights Defenders, პარაგრაფი 54, გვ.11. https://www.osce.org/files/f/documents/c/1/119633.pdf

კორუფციას ან არასათანადო მოპყრობის ფაქტებს, ან საუბრობენ ინფორმატორების საქმიანობაზე, არ უნდა აწყდებოდნენ სისხლისსამართლებრივ დევნას, თვითნებურ სამართლებრივ ქმედებებს ან სხვა სახის შედეგებს აღნიშნულის განხორციელების გამო. ხელისუფლება უნდა აცნობიერებდეს დამოუკიდებელი და საგამოძიებო ჟურნალისტიკის მნიშვნელობას დანაშაულის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტების გამოვლენის საქმეში და ხელი უნდა შეუწყოს მას ანგარიშვალდებულების სტანდარტის ამაღლების მიზნებისთვის[23].

სახელმძღვანელო მითითებების თანახმად, ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ჟურნალისტები არ ექვემდებარებოდნენ თვითნებურ სისხლისსამართლებრივ დევნას და ჰქონდეთ წვდომა იურიდიულ და სხვა სახის დახმარებაზე, რათა მათ შეძლონ თავიანთი საქმიანობის განხორციელება ჩარევისა და შესაძლო დასჯის შიშის გარეშე. უფრო კონკრეტულად, მათ უნდა გადადგან ნაბიჯები ჟურნალისტების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და უზრუნველყონ ჟურნალისტი უფლებადამცველების ეფექტურად დაცვა თავდასხმებისა და სხვა სახის დანაშაულისგან როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო აქტორების მხრიდან. ადამიანის უფლებადამცველთა მიმართ ჩადენილი ნებისმიერი დანაშაული, მათ შორის - იმ ჟურნალისტების წინააღმდეგ, რომლებიც იცავენ ადამიანის უფლებებს, უნდა იქნას გამოძიებული სწრაფად, ეფექტურად და დამოუკიდებლად, გამჭვირვალე ფორმით, და შესაბამისი პასუხისმგებელი პირები უნდა დაისაჯონ[24].

ევროკომისიის 16.09.2021 წლის რეკომენდაციის თანახმად[25], წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, გამოიძიონ და სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყონ ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი ყველა დანაშაულებრივი ქმედების შემთხვევაში; არ აქვს მნიშვნელობა, დანაშაული ჩადენილი იქნება ონლაინ თუ ოფლაინ. გამოძიება უნდა იყოს მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი, ეფექტური, გამჭვირვალე და დროული, არსებული ეროვნული და ევროპული კანონმდებლობის სრულად გამოყენებით, რათა უზრუნველყოფილი იქნას ფუნდამენტური უფლებების დაცვა და სწრაფი მართლმსაჯულება კონკრეტულ შემთხვევებში და აღკვეთილ იქნას „დაუსჯელობის კულტურის“ წარმოქმნა ჟურნალისტებზე თავდასხმებთან მიმართებით[26].

სამართლებრივი შეფასება

წლების განმავლობაში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საგამოძიებო ორგანოების მიერ ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლის ფაქტების სწორი კვალიფიკაცია. სხვადასხვა საჯარო უწყებაში დაცული

---

[23] იქვე: Guidelines on the Protection of Human Rights Defenders https://www.osce.org/files/f/documents/c/1/119633.pdf

[24] იხ. OSCE/ODIHR - Guidelines on the Protection of Human Rights Defenders, პარაგრაფი 54, გვ.11. https://www.osce.org/files/f/documents/c/1/119633.pdf

[25] იხ. COMMISSION RECOMMENDATION of 16.9.2021 on ensuring the protection, safety and empowerment of journalists and other media professionals in the European Union, გვ.15.

[26] იხ: COMMISSION RECOMMENDATION of 16.9.2021 on ensuring the protection, safety and empowerment of journalists and other media professionals in the European Union, გვ.15.

სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზიც ამის ერთ-ერთი მაგალითია. საქმეთა აბსოლუტურ უმრავლესობაში, მიუხედავად იმისა, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებები ნათლად მოწმობს, რომ ჩადენილია ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლის დანაშაული, გამოძიება, არასწორად, გამიზნულად, მხოლოდ თანმდევი შედეგით კვალიფიცირდება, რაც, როგორც წესი, კუმულაციურ დანაშაულს ქმნის და სპეციალური მუხლი (იგულისხმება 154-ე მუხლი) საერთოდ არ გამოიყენება. ჩნდება ეჭვი, რომ ეს ტენდენცია, შესაძლოა, საგამოძიებო ორგანოების მხრიდან კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკით გამორჩეული ოპოზიციური ტელევიზიების მიმართ ხელისუფლების პოლიტიკის გატარებას ემსახურებოდეს და მიზნად ისახავდეს კრიტიკული მედიასაშუალებების მიმართ საზოგადოების ნდობის შელახვასა და მათ დისკრედიტაციას.

როგორც აღინიშნა, სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლს საგამოძიებო ორგანოები პრაქტიკაში ხშირად მიზანმიმართულად არასწორად იყენებენ. აღნიშნულ ნორმაში, როგორც ზემოთ განვითარებულ მსჯელობაში ჩანს, შეიძლება, იდენტიფიცირდეს ის ნიშნები, რამაც გამოიწვია საქმიანობის შეუსრულებლობა. მაგალითად: ვერ გადაიღო ვიდეო, ვერ დაწერა სტატია, ვერ გამოაქვეყნა და ა.შ. ამიტომ ამგვარი ფაქტების თუ დანაშაულის კვალიფიკაცია, საგამოძიებო ორგანოების მხრიდან შესაბამისი ნების არსებობის შემთხვევაში, პრობლემური საკითხი არ არის.

დღეისათვის, საგანგაშოა ჟურნალისტების წინააღმდეგ მიმართული ძალადობის ფაქტების რაოდენობრივი მაჩვენებელი. ასეთ, შემთხვევებში, მაგალითად, თუ ხელი გაარტყეს ჟურნალისტს, კიბეზე დააგორეს, თავი გაუტეხეს, მაგრამ მან მაინც გადაიღო ან გამოაქვეყნა მასალა, დამნაშავე შეიძლება ხულიგნობაში (მუხლი 239) ან ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებაში დაადანაშაულონ[27] (მუხლები 117; 118; 120), მაგრამ არა ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლაში (მუხლი 154).

ზოგადად, საქართველოში ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის დანაშაულის განსაზღვრის პრობლემა უკავშირდება არა იმდენად საკანონმდებლო მოწესრიგებას, არამედ საგამოძიებო ორგანოების მხრიდან მიზანმიმართულ არასწორ კვალიფიკაციას. სწორედ ამიტომ ჟურნალისტების უფლებების შელახვასთან დაკავშირებული მრავალი საქმის გამოძიება არა 154-ე მუხლით, არამედ სხვა მუხლით იწყება.

პრობლემურია დაზარალებულის სტატუსის მინიჭების საკითხები. მაგალითად, ამ დრომდე არ აქვთ მინიჭებული დაზარალებულის სტატუსი 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებისას დაზარალებული ჟურნალისტების აბსოლუტურ უმრავლესობას, რომლებმაც მძიმე დაზიანებები მიიღეს. ჟურნალისტური ქარტიის მიერ აღრიცხულია 39

---

[27] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლი ***(ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება)***; 118-ე მუხლი ***(ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება)***; 120-ე მუხლი ***(ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება)***.

ჟურნალისტი, რომლებმაც სხვადასხვა სიმძიმის ჯანმრთელობის დაზიანება მიიღეს[28]. მიყენებული დაზიანებების გამო ბევრ მათგანს ქირურგიული ჩარევა დასჭირდა. თუმცა, საქართველოს გენერალური პროკურატურიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად[29], საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და აღდგენაში მონაწილე ცალკეულ სამართალდამცველთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით და იარაღით გადამეტების ფაქტზე საქართველოს გენერალური პროკურატურის ნაწილში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, 2021 წლის 10 სექტემბრის მდგომარეობით, დაზარალებულად ცნობილია მხოლოდ 8 ჟურნალისტი[30]. რაც შეეხება დანაშაულის ჩამდენ პირებს, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხოლოდ 3 თანამშრომლის მიმართ, ძალადობით, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

ადამიანის უფლებათა ცენტრის სამართალწარმოებაშია 20-21 ივნისის მოვლენების დროს დაშავებული სამი ჟურნალისტის - მერაბ ცაავას („გურია ნიუსი“), ბესლან კმუზოვის („კავკაზსკი უზელი“) და ზაზა სვანაძის საქმეები, რომელთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს ორგანიზაციის იურისტები იცავენ. მას შემდეგ, რაც ადამიანის უფლებათა ცენტრმა ეროვნულ დონეზე ყველა არსებული სამართლებრივი საშუალება გამოიყენა, რათა მისი დაცვის ქვეშ მყოფი ჟურნალისტები საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაზარალებულად ეცნო და ეწარმოებინა დროული, ეფექტიანი და მიუკერძოებელი გამოძიება, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო, ორგანიზაციამ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა. სარჩელებში მითითებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 (გამოხატვის თავისუფლება); მე-11 (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება); მე-13 (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალება) მუხლების დარღვევების თაობაზე. პროკურატურამ მხოლოდ მას შემდეგ მიანიჭა დაზარალებულის სტატუსი ჟურნალისტებს, რაც სტრასბურგის სასამართლომ სახელმწიფოსთან კომუნიკაცია დაიწყო[31].

აგრეთვე, აღსანიშნავია ჟურნალისტ ვახტანგ სანაიას საქმე. 2021 წლის 25 თებერვალს, მას თავს ნასვამ მდგომარეობაში მყოფი სამი პირი დაესხა. ჟურნალისტი ოჯახის წევრებთან, მათ შორის - მცირეწლოვან შვილთან ერთად იმყოფებოდა და სამაშველო სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად პირადი ავტომანქანის აღმართზე აყვანას ცდილობდა. მისი თქმით, ამ დროს ბრალდებულებმა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, დაემუქრნენ და მისი ოჯახის წევრებს ფიზიკურად გაუსწორდნენ.

---

28 იხ. ჟურნალისტების მიმართვა საქართველოს მთავრობას, შს მინისტრს და დიპლომატიურ კორპუსს: https://www.qartia.ge/ka/siakhleebi/article/73244

29 საქართველოს გენერალური პროკურატურის პასუხი #13/56032 ადამიანის უფლებათა ცენტრის 2021 წლის 15 სექტემბრის წერილზე.

30 საქართველოს გენერალური პროკურატურის პასუხი #13/57936 ადამიანის უფლებათა ცენტრის 2021 წლის 23 სექტემბრის წერილზე.

31 იხ. 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული საქმეები პოლიტიკური მართლმსაჯულება და სადავო ამნისტია, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021, გვ.17. http://www.hrc.ge/files/10220-21%20june.pdf

ამავე დღეს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარზე ჯგუფურად ძალადობის ბრალდებით დააკავა სამი პირი. შსს-ს მიერ გავრცელებული ცნობით, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ბრალდებულებმა, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ჯგუფურად ფიზიკური ძალადობა განახორციელეს ვახტანგ სანაიასა და მისი ნათესავის მიმართ. დაკავებულ სამ პირს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით წარედგინათ[32].

თბილისის საქალაქო სასამართლომ სამივე ბრალდებული დამნაშავედ ცნო, მაგრამ ძირითადი სასჯელის სახით, მინიმალური - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. სამივე თავდამსხმელი 6 თვე წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა, რის გამოც ეს ვადა მათ მოხდილად ჩაეთვალათ და საპატიმროდან განაჩენის გამოცხადების დღესვე გათავისუფლდნენ.

კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის განცხადებით, სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით მართლმსაჯულება სათანადოდ არ აღსრულებულა. ამ გადაწყვეტილებამ კრიტიკული მედიის წარმომადგენელთა მიმართ ძალადობის წახალისება შეიძლება გამოიწვიოს, რაც მსგავს საქმეებზე ხელისუფლების მხრიდან არაეფექტიანი რეაგირების ფონზე, კიდევ უფრო ამძიმებს ქვეყანაში არსებულ მედიაგარემოს[33].

სასჯელის უმთავრესი მიზანი ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, დამნაშავის რესოციალიზაცია და სამართლიანობის აღდგენაა. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოყენებული მინიმალური სასჯელი კი ვერ პასუხობს ამ მიზნებს, ქმნის დაუსჯელობის განცდას და უფრო მეტად ახალისებს მედიის წარმომადგენელთა მიმართ ძალადობას.

რაც შეეხება 2021 წლის 5-6 ივლისის „ღირსების მარშის“ კონტრაქციებს თბილისში, ჟურნალისტთა მიმართ ძალადობის უპრეცედენტო მასშტაბი დაფიქსირდა. ხოლო აქციაზე შეკრებილი ცალკეული პირების მხრიდან მედიასაშუალებების წარმომადგენელთა მიმართ განხორციელდა მასშტაბური ძალადობრივი ქმედებები და ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტები. კონტრაქციის მონაწილეები სასტიკად უსწორდებოდნენ მედიის წარმომადგენლებს. 5 ივლისს, განსხვავებით 6 ივლისის აქციისა, პოლიცია პასიურად ერეოდა ძალადობრივ ინციდენტებში და არ აკავებდა მოძალადეებს. ჟურნალისტები სახელმწიფოს მხრიდან სრულიად დაუცველნი აღმოჩნდნენ, რასაც ნათლად დისკრიმინაციული შეფერილობა ჰქონდა. ამ ქმედებებს ჰქონდა კარგად ორგანიზებული ხასიათი.

2021 წლის 5 ივლისს, ჯამში, თავს დაესხნენ კონტრაქციაზე მომუშავე სხვადასხვა მედიასაშუალების 53 ჟურნალისტსა და ოპერატორს[34]. ჟურნალისტებზე თავდასხმა

---

[32] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება: http://www.hrc.ge/261/geo/?fbclid=IwAR2wCrdCT7g4KuhbB7cifUdI96-7ysPuYBYRDLEz4_TqffEAn1hvkcxN560

[33] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3HUAQwU

[34] იხ. ჟურნალისტების სია, რომლებსაც ძალადობრივი ჯგუფები თავს დაესხნენ: https://bit.ly/3yqBuNH

ძალადობის სხვადასხვა ინტენსივობის იყო, რა დროსაც მედიის რამდენიმე თანამშრომელმა უმძიმესი ფიზიკური დაზიანებები მიიღო და დასახიჩრდა[35]. გარდა ამისა, ტვ „პირველის“ ოპერატორი ლექსო ლაშქარავა, რომელიც 2021 წლის 5 ივლისს პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს სასტიკი ძალადობის მსხვერპლი გახდა, 11 ივლისს საკუთარ სახლში ღამით გარდაიცვალა[36]. დაჩქარებული საგამოძიებო მოქმედებებისა და 5 ივლისს მიღებულ დაზიანებებთან დაკავშირებით, ხელისუფლების მიერ სხვა ვერსიების გავრცელების მიუხედავად, ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების თაობაზე დამაჯერებელი მტკიცებულებები და სამედიცინო ექსპერტიზის საბოლოო შედეგები, შესაბამის ორგანოებს დღემდე არ გამოუქვეყნებიათ.

ოფიციალური მონაცემებით[37], 2021 წლის 5-6 ივლისს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიების ფარგლებში დაზარალებულად ცნობილია 45 ჟურნალისტი, ოპერატორი. შესაძლოა, რომ ამ ეტაპზე, განსხვავებით 20-21 ივნისის მოვლენებისა, დაზარალებულის სტატუსის მინიჭების პროცესზე დიდი გავლენა მოახდინა საერთაშორისო რეზონანსმა ჟურნალისტების წინააღმდეგ მიზანმიმართულად განხორციელებულ მასშტაბურ ძალადობრივ ინციდენტებთან დაკავშირებით, როდესაც არაერთმა ადგილობრივმა თუ საერთაშორისო ორგანიზაციამ, თუ მეგობარმა ქვეყანამ მოუწოდა ხელისუფლებას, გამოეძიებინა ეს ძალადობრივი დანაშაულები. გარდა საერთაშორისო ზეწოლისა, შესაძლებელია, უფრო მეტად გავლენა მოახდინა იმ ფაქტორმაც, რომ განსხვავებით 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებისა, ამ შემთხვევაში, პოტენციური ბრალდებულები არ იყვნენ სახელმწიფოს წარმომადგენლები - პოლიციელები, სპეცრაზმელები, არამედ - კონტრაქციის მონაწილე მოქალაქეები. ამიტომ საგამოძიებო ორგანოებმა ისინი პასუხისგებაში უფრო მკაცრად მისცეს, ხოლო პოლიციელებისადმი ლოიალურობა გამოიჩინეს.

ადამიანის უფლებათა ცენტრი 5-6 ივლისს მედიაორგანიზაციების წარმომადგენლებისადმი განხორციელებული ძალადობრივი ქმედებებისა და ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლის დროს დაშავებული 9 ჟურნალისტის უფლებებსა და სამართლებრივ ინტერესებს იცავს. ამ დროისათვის, დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა ორგანიზაციის დაცვის ქვეშ მყოფ ყველა დაზარალებულ ჟურნალისტს[38]. ამის მიუხედავად, საგამოძიებო უწყებების მხრიდან დამნაშავეთა იდენტიფიცირება და მათ მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომების გამოყენება, კვლავ პრობლემად რჩება. ამ საქმეში მხოლოდ 2 ბრალდებულის მიმართ არის პატიმრობა გამოყენებული. რაც შეეხება სხვა პირებს, საგამოძიებო ორგანოების მიერ დღემდე არ მომხდარა ძალადობრივ ქმედებებში ჩართული ყველა პირის იდენტიფიცირება. ასევე, არ დაწყებულა ძალადობრივი ქმედებების ორგანიზატორთა სისხლისსამართლებრივი დევნა, მათ შორის - არც იმ სასულიერო პირების მიმართ,

---

35 იქვე.

36 ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3xkURWY

37 საქართველოს გენერალური პროკურატურის პასუხი #13/57936 ადამიანის უფლებათა ცენტრის 2021 წლის 23 სექტემბრის წერილზე.

38 იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება: https://bit.ly/3AcjJC7

რომლებიც ღიად მოუწოდებდნენ კონტრაქციაში შეკრებილ ადამიანებს ძალადობრივი ქმედებებისკენ ან/და მონაწილეობდნენ ამგვარ ქმედებებში. საბოლოო ჯამში, სახელმწიფო არ ასრულებს მასზე დაკისრებულ პოზიტიურ ვალდებულებებს, დაიცვას აქციაზე მყოფი დემონსტრანტები და იქვე მომუშავე ჟურნალისტები.

დასკვნა

საქართველოში ჟურნალისტების უფლებების დარღვევის შემთხვევები, მათ მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებები და პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის მასშტაბური ფაქტები, კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა. ჟურნალისტებისათვის პროფესიული საქმიანობის შესრულება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში გახდა, განსაკუთრებით - კრიტიკული მედიის წარმომადგენლებისათვის.

საქართველოს ხელისუფლება არ უზრუნველყოფს ჟურნალისტების უსაფრთხოებას, ხოლო ბოლო წლებში განხორციელებული თავდასხმები უმეტესად გამოუძიებელია. 2021 წლის 5-6 ივლისს, ჰომოფობიური და მოძალადე ჯგუფების თავდასხმის შედეგად, მედიის 53 წარმომადგენელი დაშავდა. 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენების დროს კი - 39 ჟურნალისტი (აქედან მხოლოდ 8 ჟურნალისტია ცნობილი დაზარალებულად).

2021 წლის 5-6 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებით, აღსანიშნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის საწინააღმდეგოდ, საქართველოს ხელისუფლებას არ ჰქონია ეფექტური რეაგირება სიძულვილის ჯგუფების მიერ მედიის წარმომადგენლებზე თავდასხმების აღსაკვეთად. შესაბამისად, სახელმწიფომ არ უზრუნველყო ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელება უსაფრთხო გარემოში; არ შეასრულა მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებები.

2019 წლის 20-21 ივნისს პარლამენტთან გამართული აქციის დაშლისას პოლიციის მიერ სპეციალური საშუალებების არაპროპორციულად გამოყენებით აქციის მონაწილეებთან ერთად, შემთხვევის ადგილზე მყოფი მედიის წარმომადგენლებიც დაშავდნენ. გარდა იმისა, რომ მათ ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები მიიღეს, ასევე, მოხდა მათ მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში უკანონო ხელის შეშლა. აქციის დაშლის წინ სამართალდამცავებს სიტყვიერად არ გაუფრთხილებია აქციის მონაწილეები, ისევე როგორც არ ყოფილა არანაირი კომუნიკაცია ჟურნალისტების უსაფრთხოების დაცვის მიზნით ტერიტორიის დატოვების თაობაზე. შესაბამისად, მათი საქმიანობა პარლამენტის ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენების გაშუქებას ემსახურებოდა და მათი რაიმე მიზეზით შეზღუდვის საფუძველი არ არსებობდა.

როგორც აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია. მოცემულ შემთხვევებში, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, საგამოძიებო ორგანოებმა ჟურნალისტების ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებებთან დაკავშირებით დროული და ობიექტური გამოძიებით პასუხისმგებელი პირების ვინაობა გამოკვეთოს.

მწვავე პრობლემას წარმოადგენს არასწორი კვალიფიკაცია. მიუხედავად იმისა, რომ საქმეთა აბსოლუტურ უმრავლესობაში, ფაქტობრივი გარემოებები ცალსახად ადასტურებენ, რომ ჩადენილია ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის დანაშაული, გამოძიება, მიზანმიმართულად, მხოლოდ თანმდევი შედეგით კვალიფიცირდება და სპეციალური მუხლი (სსკ-ის 154-ე მუხლი) საერთოდ არ გამოიყენება. შეიძლება ითქვას, ეს მუხლი 2021 წლამდე ფაქტობრივად არ გამოიყენებოდა. 2021 წელს უკვე 31 საქმე არის აღძრული ამ მუხლით, მაგრამ პრობლემაა ის, რომ საქმეებში ბრალდებულები არ არიან.

პრობლემურია დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საკითხები. შესაბამისი ორგანოები დაუსაბუთებლად აცხადებენ უარს დაშავებული ჟურნალისტებისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე.

აგრეთვე, საგანგაშოა მმართველი პარტიის წარმომადგენელთა აგრესიული და მუქარის შემცველი რიტორიკა ჟურნალისტების წინააღმდეგ, რომელმაც თითქმის ყოველდღიური სახე მიიღო, რაც დამატებით ახალისებს მედიის წინააღმდეგ ძალადობას და ამძაფრებს ქვეყანაში არსებულ ისედაც რთულ და პოლარიზებულ მედიაგარემოს. ამასთან, ხელისუფლება კრიტიკული მედიის მიმართ ბოიკოტის რეჟიმშია და მათ პოლიტიკურ გადაცემებში არ მონაწილეობს.

დაბოლოს, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს ჟურნალისტთა პროფესიული საქმიანობისთვის ხელის შეშლის ფაქტების შემთხვევაში დანაშაულის შესაბამისი კვალიფიკაცია. მნიშვნელოვანია, საგამოძიებო ორგანომ დროულად, ეფექტიანად და ორგანიზებულად აწარმოოს ძალადობის და ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლის ყველა ეპიზოდის გამოძიება, მათ შორის - დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთის მიმართულებით.

რეკომენდაციები

საქართველოს ხელისუფლებას:

- დაუყოვნებლივ შეწყვიტოს სიძულვილის ენით საუბარი მედიასთან და ღიად დაუჭიროს მხარი ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობის თავისუფლებას;
- გააკეთოს განმარტებები გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ და მკაფიოდ და არაორაზროვნად დაგმოს ჟურნალისტების წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობრივი მოწოდებები და ქმედებები;
- ხელი შეუწყოს 2021 წლის 5-6 ივლისს განხორციელებული, წინასწარ დაგეგმილი და კარგად ორგანიზებული ძალადობრივი ქმედებების და მედიის

წარმომადგენლებზე მასშტაბური ძალადობის ორგანიზატორთა ვინაობის დადგენას, ასევე - ამ ძალების დამფინანსებელი ორგანიზაციებისა თუ ფიზიკური პირების გამოაშკარავებას;

- გამოძიების პროცესის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის გასაზრდელად, უზრუნველყოს პარლამენტის ბაზაზე მულტიფრაქციული საპარლამენტო კომისიის შექმნა და გაზარდოს პარტნიორი სახელმწიფოების შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობა, ამგვარი გამოძიების ეფექტურად წარმართვის მიზნით;

- შექმნას ძლიერი და გამჭვირვალე სასამართლო სისტემის გარანტიები, რათა უზრუნველყოფილი იქნას მათი სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ვინც ჟურნალისტებზე თავდასხმა განახორციელა ან/და ხელი შეუშალა მათ პროფესიულ საქმიანობაში;

- დაშავებული ჟურნალისტებისთვის უზრუნველყოფილი იქნას დაზარალებულის სტატუსის მინიჭება;

- შეაფასოს, რამდენად ეფექტიანად იყო დაგეგმილი და აღსრულებული საპოლიციო ძალების მობილიზება და მოქმედებები, აქციებზე მოვლენების ძალადობრივი განვითარების თავიდან ასარიდებლად და აღსაკვეთად.

საგამოძიებო ორგანოებს:

- დაუყოვნებლივ უზრუნველყონ ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტების მიუკერძოებელი, სწრაფი და ეფექტური გამოძიება;

- ჟურნალისტთა პროფესიული საქმიანობისთვის ხელის შეშლის ფაქტების შემთხვევაში, დანაშაულს მისცენ შესაბამისი კვალიფიკაცია;

- უზრუნველყონ 2021 წლის 5-6 ივლისს განხორციელებულ ძალადობრივ მოვლენებში მონაწილე ყველა პირის იდენტიფიცირება და სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება - ამ ქმედებების ორგანიზატორთა დადგენისა და მათდამი სისხლისსამართლებრივი დევნის ჯეროვნად განხორცილების მიზნით.